

F-567  
1961



საქართველოს  
თეატრალური  
სამსახურის  
გაზეთი

1961 წ.

3





ს. თ. ს.


საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ ო ე მ ბ ე

19 თბილისი 61

აკრული-მაისი-ივნისი

№ 3 (17)



რედაქტორი: ნ. შვანგირაძე

---

---

სარედაქციო კოლეგია:

ალიო ადამია, ვერიკო ანჯაფარიძე,  
თამარ ბაქრაძე, ოთარ ეგაძე, ლილი  
ლომთათიძე, შალვა მებურიშვილი,  
ნინო შვანგირაძე.

---

---



## ორმოცი წლისთავზე

თეატრალური საზოგადოება საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების ორმოცი წლისთავს კარგი მაჩვენებლებით შეხვდა. შემოქმედებით ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა ჩვენი სინამდვილეში დღითიდღე იზრდება. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები მოწოდებულნი არიან უშუალო მონაწილეობა მიიღონ კომუნისტების მშენებელი ადამიანის აღზრდის, მისი ხასიათის ფორმირების, გემოვნების გაფუჭებისა და საერთო კულტურული დონის ამაღლების საქმეში. ამ მხრივ თეატრებს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ხელოვნებაში თავისი შემოქმედების ძალით, ხოლო თეატრალური საზოგადოება ვალდებულია თავის მხრივ ხელი შეუწყოს ქართული თეატრალური კულტურის საერთო ზრდასა და სრულყოფას. დღიდან თავისი არსებობისა ამ კეთილშობილ საქმეს ისახავდა მიზნად ჩვენი საზოგადოება და მისი სამოქმედო ასპარეზიც ჩვენი თეატრების ინტერესებით ისაზღვრებოდა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი შემოქმედებით ორგანიზაციაა, რომელიც ჯერ კიდევ 1879 წელს, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის ინიციატივით შეიქმნა. „საქართველოს დრამატული საზოგადოების“ სახით. იმხანად საზოგადოებას მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ა. წერეთელი, გ. თუმანიშვილი, გ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი, დ. ყიფიანი, ა. ყაზბეგი, ი. მაჩაბელი და სხვ. საზოგადოებას ჰქონდა თავისი განყოფილებები: ქუთაისსა (1907 წ.), ქიათურასა (1907 წ.) და ბათუმში (1913 წ.). დრამატული საზოგადოება აერთიანებდა რა პროფესიონალურ თეატრალურ ძალებს, იღებდა აქტიურ მონაწილეობას ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1914 წლის ივლისში დრამატული საზოგადოების მიერ მოწვეული იქნა სცენის მოღვაწეთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 175 დელეგატი. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს დრამატული საზოგადოება არსებობდა 1918 წლამდე. 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან რესპუბლიკის აქტიურთა ძალები გაერთიანდნენ „რამისში“ (ხელოვნების მუშაკთა კავშირი). 1945 წელს კვლავ მომწიფდა აუცილებლობა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნისა. თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელთა (სსრკ სახალხო არტისტი ა. ა. ხორავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნ. დადიანი, სსრკ სახალხო არტისტი - გ. ი. ანჯაფარიძე და სხვ.) ინიციატივით შეიქმნა საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქართული თეატრის მოღვაწეთა იდეურ-მხატვრული დონისა და პროფესიონალური ოსტატობის ამაღლება. საქ. თეატრალური საზოგადოება უწყვეტ ყოველგვარ დახმარებას რესპუბლიკის თეატრებს, რათა შეიქმნას სცენით ხელოვნებაში იდეურად მაღალი მხატვრული ნაწარმოებები, მართლად გამოიმხატველი იმ მრავალფეროვნებისა, რომელიც ახასიათებს სოციალისტურ სინამდვილეს. საქ. თეატრალური საზოგადოება აქტიურად ეხმარება რესპუბლიკის თეატრის მოღვაწეთს, სოციალისტური რეალიზმის შემდგომ განმტკიცებაში, იბრძვის სალხორობისა და პარტიულობისათვის თეატრალურ ხელოვნებაში. ამავრებს კავშირს თეატრსა და მყურებელს შორის, იბრძვის მეფე გავლენების წინააღმდეგ თეატრში.

დრამატურგებთან ურთიერთ მჭიდრო კავშირში, საინტერესო და შინაარსიანი რბერტუარის შექმნა საქ. თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი სერიოზული ამოცანათაგანია. საქ. თეატრალური საზოგადოება ყო-

ველმბრივ ეხმარება რაიონულსა და ავტონომიური რესპუბლიკების თეატრებს (აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის), საქ. თეატრალური საზოგადოება პოპულარიზაციას უწევს კლასიკურ დრამატურგიას, პირველ რიგში ქართულს, რუსულს, უცხოურს, აგრეთვე მოძვე რესპუბლიკებისა და დემოკრატიულ ქვეყნების თანამედროვე დრამატურგიას.

საქ. თეატრალური საზოგადოება სწავლობს და ანზოგადებს რესპუბლიკის თეატრების გამოცდილებას, უწევს თეატრებს პრაქტიკულსა და შემოქმედებით დახმარებას, მიისწრაფვის თეატრებსა და მასურებელთა შორის კავშირის განმტკიცებისაკენ, იღებს მონაწილეობას საქართველოს კულტურის უნივერსიტეტის მუშაობაში, უწევს დახმარებას თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს. თავისი მუშაობის მნიშვნელოვან ადგილს საქ. თეატრალური საზოგადოება უთმობს სახალხო თეატრებს.

საქ. თეატრალური საზოგადოება სისტემატურად ატარებს საქართველოს ქალაქებში ლექციებს და მოხსენებებს მარქსიზმ-ლენინიზმის ესთეტიკის საკითხებზე, თეატრალურ ხელოვნების თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებზე; აწყობს დისპუტებსა და სარაიონო კონფერენციებს, ატარებს შემოქმედებით დათვლიერებებს და კონკურსებს, უზრუნველყოფს თეატრალურ მუშაკებს შემოქმედებით მივლინებებით, აგზავნის რაიონებში დასახმარებლად: რეჟისორებს, კრიტიკოსებს, მხატვრებს, გრემიორებს და სხვ.

საქ. თეატრალურ საზოგადოებას აქვს თავისი გამომცემლობა „ხელოვნება“, რომელიც ამზადებს და ცემს წიგნებს ხელოვნების სა-

კითხებზე. საქ. თეატრალური საზოგადოების სექციების უფლებებშია მნიშვნელოვანი ფონდი სხვადასხვა მასალისა.

საზოგადოების წარმოებაში მზადდება გრემი, თეატრალური კოსმეტისა, ბუტაფორიის საგნები, პარიკები და სხვა.

საქ. თეატრალურ საზოგადოებას აქვს თბილისში მალაზია თავისი პროდუქციის რეალიზაციისათვის, აქვს საკუთარი სტამბა, სადაც იბეჭდება წიგნები, თეატრალური აფიშები, რეკლამები და სხვ.

საზოგადოების შემოქმედებითი მუშაობა ხორციელდება საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით.

საქ. თეატრალური საზოგადოება ამჟამად აერთიანებს 1.500-მდე წევრს. საზოგადოების უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს დელეგატთა ყრილობა, რომელიც იწვევა სამ წელიწადში ერთხელ. ყრილობათა შორის საზოგადოების მუშაობას წარმართავს საქ. თეატრალური საზოგადოების გამგეობა და პრეზიდიუმი.

საზოგადოება უშუალო კონტაქტშია სრულიად რუსეთისა და მოძვე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან და მათთან ერთად განიხილავს საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარების აქტუალურ საკითხებს.

ასეთია საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა. მომავალში, თეატრალური საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმე შემოქმედებით საქმიანობაში, ჩგენი შემდგომი მუშაობის გაცხოველების საწინდარია.

შემოქმედისათვის არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, ემსახუროს შენს ხალხს; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნათლად გრძნობ, რომ მიაბიჯებ მშენებელთა მრავალ მილიონიან რიგებში და შეგნებულნი გაქვს, რომ ხარ უძღვევლი არმიის მებრძოლი, არმიის, რომელიც პარტიას მიჰყავს კომუნისტების გამარჯვებისაკენ.

დიადი მიზნისაკენ ჩვენს წინსვლას ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა დიდი ლაშქრობა უწოდა, სკკპ XXII ყრილობა იქნება მნიშვნელოვანი ეტაპი ამ საყოველთაო ლაშქრობისა. ყრილობა, რომელიც შეიკრიბება ა. წ. 17 ოქტომბერს, მიიღებს პარტიის დიად პროგრამას და დასახავს კომუნისტური საზოგადოების საფუძველთა განხორციელების კონკრეტულ გზებს. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან ერთად, თანამედროვე ეტაპზე პარტია დღის წესრიგში აყენებს იდეოლოგიური აღზრდის ახალ ამოცანებს. ხელოვნების, — კულტურის ყოველ დარგსა და მეცნიერებაში დღეს კონკრეტულად დგას ახალი აღამიანის აღზრდის ამოცანა, — იგი ისე უნდა აღიზარდოს, რომ შეეფერებოდეს ახალ საზოგადოებრივ წყობილებას.

ხელოვნების მუშაკთა უპირველესი ამოცანაა დაეხმარონ პარტიას ყველა მშრომელის აღზრდაში მაღალ იდეურობისა და კომუნისტური ერთგულების სულისკვეთებით. ამ ამოცანების გასაძლიერებლად პარტია ყოველთვის ეხმარებოდა და ეხმარება ხელოვნების მუშაკებს.

ამ მიმართულებით პარტიის ზრუნვის ერთ-

ერთ საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს ამ დღეებში ეურნალ „კომუნისტის“ შემოქმედით ნომერში გამოქვეყნებული ჩვენი პარტიისა და მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ღრმა შინაარსიანი სტატია „ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი წარმატებებისათვის“.

აღნიშნული საპროგრამო დოკუმენტი უღრმესი მადლიერების გრძნობით მიიღო საბჭოთა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რადგან იგი წარმოადგენს ღრმა მეცნიერულ გაშუქებას იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემებისა, რომლებიც ახლა მხატვრული ინტელიგენციის წინაშე დგას.

ნ. ს. ხრუშჩოვი იძლევა სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი პრინციპების შემდგომ გაღრმავებას. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება სოციალისტურ საზოგადოებაში — აღნიშნავს იგი — მიმდინარეობს არა სტიქიურად, არა ანარქიის გზით, არამედ პარტია წარმართავს მას კანონზომიერად, როგორც საერთო სახალხო საქმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში მთელი სისრულთი გამოიხატა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა საბჭოთა ხალხის სულიერი კულტურის განვითარებისათვის, ეს სტატია კიდევ უფრო დარაზმავს და შეამპიდროვებს მხატვრულ ინტელიგენციას პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. იგი ხელს შეუწყობს ხელოვნების მუშაკებს ახალი შემოქმედებითი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების და ხელოვნების მუშაკთა სახლის მუშა-მოსამსახურეთათვის ა/წ. 22 აპრილს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო ლენინის დაბადების 91 წლისთავის აღსანიშნავი ლექცია.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ფ. ლომაშვილი დაწვრილებით შეეხო დიდი ლენინის იმ უდიდეს როლს, რომელიც მას მიუძღვის ჩვენი დიადი ქვეყნის შექმნა-განმტკიცებისა, მარქსიზმის გამდიდრების საქმესა და მსოფლიოში კომუნიზმის საბოლოოდ განარჯვების უზრუნველსაყოფად.

მომსწერებელმა აღნიშნა, რომ შესრულდა 91 წელი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის და მასწავლებლის, კომუნისტური საზოგადოების ფუძემდებლის—საბჭოთა კავშირის შექმნელის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან.

ლენინმა პირველმა შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის სრულიად ახალი თეორია, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს.

ღრმა მეცნიერული დახასიათებით ვ. ლენინმა გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი საფეხური. მისი სიკვდილი გარდაუვალია, რომ მის ნანგრევებზე აუცილებლად უნდა აღმოცენდეს სოციალისტური წყობილება—პროლეტარიატის დიქტატურა.

ლენინმა პირველმა მიაქცია ყურადღება კაპიტალისტურ სამყაროში უთანასწორო ნაბტომისებური განვითარების კანონების არსებობას, რომელიც იწვევდა როგორც კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, ისე თვით

კაპიტალისტების შორის გამწვავებულ დაუცხრომელ ბრძოლას ერთიმეორის საბოლოოდ გასანადგურებლად.

კაპიტალიზმის ამ თანდაყოლილი უკურნებელი სენის შედეგად ცალკეულ ქვეყნების ექსპლოატირებულ მასებს შესაძლებლობა ეძლეოდათ პროლეტარული რევოლუციის გზით იმპერიალიზმის დამხობისა. ლენინმა გენიალურად განსჭვრიტა ეს მოვლენა და იწინასწარმეტყველა ცალკეულ ქვეყნებში ჯერ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა, ხოლო შემდეგში კი—თანდათანობით ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

ამ კანონის აღმოჩენით ლენინმა გამამდიდრა მარქსიზმი.

მარქსიზმზე დაყრდნობით ლენინმა აამოძრავა მუშები და გლეხობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში დაემხო რუსეთში ბურჟუებისა და მემამულეების წყობილება და ძლევამოსილად აღიმართა სოციალიზმის წითელი აღბაი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინმა შეიმუშავა კომუნიზმის მშენებლობის გეგმები, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ ჯერ არნახული გიგანტური აღმავლობით გაზარდა, განავითარა და საბოლოოდ განამტკიცა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი.

ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა ქვეყანამ მეცნიერული სოციალიზმის თეორია აქცია სოციალისტურ პრაქტიკად—რეალურ სინამდვილედ, რომელიც დღეისათვის მთელი მსოფლიოს სისტემად არის აღიარებული არა მარტო სოციალისტურ ბანაკის ქვეყნებში, არამედ კაპიტალისტური სამყაროს პოლიტიკურ სფეროშიც.


ეს მოვლენა ტრიუმფალური გამარჯვებაა ლენინის გენიალურ წინასწარმეტყველებსა.

ლენინმა აგრეთვე შესანიშნავად დაამუშავა ნაციონალური საკითხი. და მხოლოდ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით მოიხსნა ამიერკავკასიის ხალხთა თავიდანვე დაუცხრომელი ნაციონალური შუღლი და ურთიერთ სისხლისღვრა. ხალხთა ძმური თანამშრომლობა მოხერხდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით, საბჭოთა კავშირში შემაგალი რესპუბლიკები ხელი-ხელ ჩაკიდებული აშენებენ კომუნისმს. ყოველი მათგანი ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური პრინციპების მომარჯვებით.

ლენინური პოლიტიკის ცხოვრებაში გატა-

რების წყალობით ძირღვსვიანად შეიცვალა ლიტერატურისა და ხელოვნების შინაარსი. სოციალისტური რეალიზმის მომარჯვებით მთელმა საბჭოთა კავშირმა და სოციალისტურმა ქვეყნებმა, კერძოდ კი ჩვენმა რესპუბლიკამ, შექმნეს უმაღლესი გემოვნების შესანიშნავი ქმნილებები. ჯერ არნახულ სიმაღლეზე ავიდა ქართული პროზა, პოეზია, დრამატურგია, ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა და აქტიორული ხელოვნება.

დიდა ლენინის ღვაწლი კაცობრიობის წინაშე. ის მარად იცოცხლებს მსოფლიოს ხალხთა გულებში, როგორც გზა და ხიდი მომავალ ბედნიერ ცხოვრებისაკენ.







დ ი ს კ უ ტ ი

არსთაველის სახ. სახელმწიფო  
დრამატული თეატრის  
სპექტაკლზე „ქარიშხალში“

მიმდინარე წლის 10 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციასთან ერთად მოაწყო დისპუტი რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლზე ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში“.

დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. კანდელაკმა.

— როგორც ცნობილია, — განაცხადა ამხ. პ. კანდელაკმა, — რუსთაველის თეატრმა უკანასკნელ ხანებში ერთობ გააცხოველა თავისი შემოქმედებითი მუშაობა, განსაკუთრებით კი თანამედროვე საბჭოთა თემატიკაში სპექტაკლების შექმნასა და მათში წამყვანი მწერლების ჩასაბმელად. ასეთი შემოქმედებითი თანამშრომლობის ერთ-ერთი ნიმუშია დღევანდელ ჩვენს შეკრებაზე განსახილველი სპექტაკლი, რომელიც შექმნილია ჩვენი ცნობილი მწერლის ს. კლდიაშვილის პიესის მიხედვით. საჭიროა მომავალშიაც განვაგრძოთ ასეთი შემოქმედებითი ურთიერთობა მწერლებთან და შეთანხმებული მუშაობით შევქმნათ ახალ-ახალი მაღალიდღეური სპექტაკლები.

შემდეგ ამხ. კანდელაკი სიტყვას მოხსენებისათვის აძლევს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს გ. ციციშვილს.

— მიმდინარე წელს, — ამბობს მომხსენებელი, — სრულდება 40 წლისთავი საქართვე-

ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნიდან. ამ სახელოვანი იუბილესათვის ემზადებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები და მათ შორის ჩვენი თეატრების მუშაკებიც. რუსთაველის სახ. თეატრმა ამ თარიღს უკვე მიუძღვნა ორი სპექტაკლი — ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში“ და ვ. კანდელაკის — „ქართლის ჩირაღდნები“. დღეს ჩვენ განვიხილავთ სპექტაკლს „ქარიშხალში“. როგორც იცით, ამ სპექტაკლს საფუძვლად უძევს ჩვენი გამოჩენილი ბელეტრისტის ს. კლდიაშვილის ცნობილი მოთხრობა „მყუდრო საფანე“, რომლის ინსცენირებაც თვით ავტორმა მოახდინა. სპექტაკლი მეტად საგულისხმოა თავისი ავტორიანობით, მასზე ამ ცოტა ხანში უკვე ორი საყურადღებო რეცენზია გამოქვეყნდა.

ილაპარაკა რა ამხ. გ. ციციშვილმა ს. კლდიაშვილის შემოქმედებით კავშირზე რუსთაველის სახ. თეატრთან, სადაც მისი არა ერთი პიესაა დადგმული, — დასძინა: სასიხარულოა ის, რომ დრამატურგმა კვლავ გაამდიდრა თავისი შემოქმედებით რუსთაველის სახ. თეატრის რეპერტუარი.

საერთოდ, — აცხადებს მომხსენებელი, — არსებობს ინსცენირების ოთხი ფორმა — უბრალო ინსცენირება, მონტაჟი, სიუჟეტზე ნაწარმოების აგება და თემატური მოტივების საფუძველზე დრამატული ნაწარმოების შექმნა. რით გამოირჩეოდა ეს ნაწარმოები და რამ მისცა ბიძგი ავტორს მისი პიესა და დააკეთებინა? უპირველესად ყოვლისა იმან, რომ ს. კლდიაშვილი რეველუციას ხედავს მართალი თვალთ. მოთხრობის მთელი რიგი ნიუანსები არის ისეთი ცხოველმყოფელი, დამაჯერებელი და ფსიქოლოგიურად სწორად გადაწყვეტილი, რომ ისინი დიდი ემოციური ძალით მოქმედობენ მაყურებელზე.

აი, სწორედ ეს აახლოვდა ამ ნაწარმოებს დრამატულ ფორმასთან. ესაა ტიპოური ხასიათები, რომლებსაც გააჩნიათ მდიდარი ინდივიდუალური განცდები, როგორც კლასობრივი, წოდებრივი, ისე საერთო ადამიან-



ნურიც, ნაწარმოებში არის დამატული სიტუაციები, შეკრული საინტერესო სიუჟეტი, მძაფრი კონფლიქტი, დიალოგური ფორმისა-კენ სწრაფვა და სხვა, რაც საფუძვლად დაედვა პიესას.

— რა თქმა უნდა, — დასძენს ამხ. ციციშვილი, — პიესა არ არის უნაკლო. სპექტაკლი, რომელიც ამ პიესის მიხედვით დაიდგა, უთუოდ მაღალი მოვლენაა, მაგრამ სპექტაკლი მაინც დაბლა დგას ავტორის პროზაულ ნაწარმოებზე, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია პიესის სტრუქტურული დანაწევრებულობით, დინამიკისა და სიმძაფრის შენელებით, ზოგიერთი სახის მკრთალად დახატვით და სხ. მაგ., როინიშვილი, ირინე თუხარელი და სხვ.

გადადის რა პიესის რეჟისორულ გადაწყვეტაზე, მომხსენებელი ამბობს: ახალგაზრდა რეჟისორმა ლ. მირცხულავამ თავისი სადებიუტო ნამუშევარში ყოველგვარი რთული ამოცანა დასძლია. მან შეძლო ხასიათების გააზრებულად წარმართვა, შესრულებელთა შერჩევა და მათი სცენურად გახსნა. რეჟისორის ნამუშევარი დადებით შეფასებას იმსახურებს. რაც შეეხება სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებას, — დასძენს მომხსენებელი, — იგი მსოფთიის ჩვენ ნიჭერ მხატვარ ფ. ლაბიაშვილს, მაგრამ, სამწუხაროდ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მან ამჯერად ვერ გაიმარჯვა. მაგრამ, ერთის მხრივ, ამისაც აქვს თავისი მიზეზები, — ყველა მხატვარი, რომელიც ახლის ძიებაშია, — შესაძლებელია მას სეთი ამბავი დაემართოს, მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ნატურალიზმი და პირობითობა და ამან კი ერთგვარად დააბნია მხატვრები... არ იცოდნენ რომლისათვის მიეცათ უპირატესობა. ამ ქიღალბი მივიღეთ ეკლექტიზმი, სტილით აღრევა, ხამდვილი კომბეტი და არა რეველი (მაგ. „ქარიშხალში“), და სხვა. ჩვენ მიღეს არ ვკარგავთ, რომ ფ. ლაბიაშვილი კვლავაც მოგვეცემს მაღალი კეთილშობილთა გაფორმებულ სპექტაკლებს!

გადავიდა რა, სპექტაკლ „ქარიშხალში“ დაკავებულ მსახიობთა შესრულებაზე, მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის სახალხო არტისტისა და არა რეველი (მაგ. „ქარიშხალში“) სიმონ ჭაჭიაშვილის როლს ასრულებს. ს. ზაქარაიძემ, — აცხადებს ამხ. ციციშვილი, — მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულ ოდიანოს მეფის, თინიზგის, ქადაგის გალერეას კიდევ ერთი ბრწყინვალედ შესრულებული სახე შემატა სიმონ ჭაჭიაშვილის სახით.

ასევე მაღალი შეფასება მისცა მან მომხსენებელმა თუხარელის შემსრულებელ რესპ. სახ. არტისტს გ. საღარაძეს, რომელსაც ახასიათებს უბრალოება და ლირიკულობა, გ. საღარაძექ თბილი, მიმზიდველი და კეთილშობილი ინტელიგენტის სახე შექმნა. მერაბ თაბაგარის როლში გამოვიდა რესპ. დამს. არტისტი გურამ საღარაძე, რომელსაც ახასიათებს ორგანიზატორული ნიჭი და კეთილშობილება. გურამ საღარაძემ, — დასძენს იგი, — მოგვცა გულითადი და მაღალი ბოლიტიკური აღლოს მატარებელი კომუნისტი მოღვაწის სახე.

უდავოა, რომ ნიჭიერმა მსახიობმა ზ. კერენხილაძემ, — აცხადებს მომხსენებელი, — „ბახტრიონში“ თავი ისახელა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში, ის ვერ აღმოჩნდა იმ სიმადლებზე, რომელსაც მისი როლისაგან პიესა და სპექტაკლი მოითხოვდა. აქ ამ როლის შესრულებას ერთგვარი შებორკილება ახასიათებს.

დანარჩენ შემსრულებლებთან, მომხსენებელი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ანდლულაძეს (როინიშვილი), ჯ. ლაღანიძეს (აფთიაქარი), ელ. საყვარელიძეს (კატო), ალ. კუპრაშვილს (გამზრდილი), კ. საკანდელიძეს (ლენტორი), მ. მარგველაშვილს (ქარხნის მმართველი), ლ. ლაბიაშვილს (კომენდანტი გოგონა), რესპ. სახ. არტ. მ. ჩხლაძეს და სხვებს.

კამათში გამოსული ხელ. დამს. მოღვაწე, პროფ. აკ. ფალავა ეთანხმება მომხსენებელს სპექტაკლის შეფასებაში და ამავე დროს დასძენს, — ახალგაზრდა მსახიობს ნ. ანდლულაძეს არ გამოუვიდა როინიშვილის სახე. ავტორს მოთხრობაში უფრო მოტივირებული ჰქონდა ეს სახე, პიესაში კი სწორხაზოვნად წაიყვანა იგი; ამის გამო როლი სქემატური და მკრთალი აღმოჩნდა.

პროფ. აკ. ფალავა შენიშნავს, რომ ფულის გატაცების მომენტში სიმონი რჩება ირინესთან და არავითარი ყურადღებას აღარ აქცევს გატაცებულ ფულს. ეს მომენტი საჩივროა, მართალია, სიყვარულითა და ნებით არ გაყოლია ირინე ჭაჭიაშვილს, მაგრამ არც ასე ძალდატანებით ვარგა, რომ გახდეს მისი ცოლი. ეს არ არის მიზანშეწონილი; ისეთი შთაბეჭდილება გვჩრება, რომ ჭაჭიაშვილმა თითქმის ძალა იმართა ირინეზე და ამის საფუძველზე გახდა იგი მისი ცოლი.

რაც შეეხება სპექტაკლს, — აცხადებს პროფ. აკ. ფალავა, — დიდი ჟღერადობის სპექტაკლია. ახალგაზრდა რეჟისორმა უეჭველად გაი-

მარჯვა, — მან შექმნა ანსამბლური სპექტაკლი.  
— მე ვეთანხმები მომხსენებელს სპექტაკლის შეფასებაში, — აცხადებს სიტყვაში გამოსული ხელ. დამს. მოღვაწე დ. ჯანელიძე, — მაგრამ მე მინდა ერთ ნაკლებზე შევჩერდე. სახელდობრ, რიგი მოქმედი პირობები, რომლებიც მოქმედების ცენტრში უნდა იყვნენ, როგორც ალმოწინდენ მოქმედების გარეშე: ირინეს სახე სუსტია. სქემატურია აგრეთვე თაბაგარის სახე, ე. ი. ის ბრძოლა, რომელიც არის პიესაში, ეს არის ამბის სახით, შინაგანად არ არის განვითარებული. პიესაში მინდა ბრწყინვალე სახეები. რაც შეეხება დ. ლაპიაშვილის ნამუშევარს, მართალია სუსტია, მაგრამ, როგორც აქ ითქვა, იგი ძრებაშია და ვიმედოვნებთ კვლავ ვიხილავთ მის კარგ სპექტაკლებს.

ილაპარაკა რა სპექტაკლის გარშემო კრიტიკოსმა ბ. ჭლენტმა, დასძინა, — მე მომეწონა მოხსენება და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიც. მართალია, რომ ჩვენი თეატრები მუშაობენ თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლებზე, მაგრამ, ჩემის აზრით, თანამედროვე ქართული თეატრი ჯერ კიდევ მთლიანად თანამედროვე არ არის. მისი შემოქმედებითი ნამუშევარი უნდა ჩანდეს არა რაოდენობრივობიდან, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებიდან.

სანამ თანამედროვე ქართული რეპერტუარი ისეთსავე დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას არ გაგვაცდევინებს, როგორც „ოდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“ და „რიჩარდ III“. მანამ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ გვაქვს დიდი სპექტაკლები. ჩვენი თეატრები, — დასძინს ამხ. ჭლენტო, ყოველთვის ვერ იღლიან ინსცენირების გზით. მაგრამ, სანამ ნამდვილი დრამატურგიის ნიმუში ცოტა გვაქვს, კარგი ინსცენირება ჯობია ცუდ დრამოდლობას. კარგი ინსცენირების მაგალითია „ბახტრიონი“, „კოლხეთის ცისკარი“ და სხვა. მე მინდა მივინდა გულისტვივრით ვთქვა, რომ რუსთაველის თეატრმა არ გააკეთა ყველაფერი, რის

გაკეთებაც შეეძლო და ამიტომ სპექტაკლის ხარვეზები გააჩნია. რეჟისორს მთავარი როლის შემსრულებლები და დეკორაციული გაფორმება უნდა დაეყენებინა შესაფერ დონეზე, რაც სპექტაკლსა და თეატრს უფრო აამაღლებდა.

კამათში გამოსული თეატრმცოდნე ნინო შვანიტაძე არ ეთანხმება მომხსენებელს და სიტყვაში გამოსულ იმ ამხანაგებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ თითქმის დ. ლაპიაშვილის გაფორმება სპექტაკლ „ქარიშხალში“ დაავადებული იყოს ეკლექტიზმით. ეკლექტიზმის მაგალითად სპექტაკლ „ქარიშხალის“ მხატვრობა არ გამოდგება, სპექტაკლს მხატვრული გაფორმების მხრივ არავითარი გადაწყვეტა არ გააჩნია. რა შუაშია აქ ეკლექტიზმი? თეატრ მხატვარი იზიარებს იმ აზრს, რომ მისი გაფორმება არ გამოვიდა ისეთი, როგორცაა მოელოდა.

— დღევანდელ შეკრებას, — აცხადებს ს. ზაქარიძე, — ექნება დიდი სარგებლობა იმ მხრივ, რომ ჩვენ ამ სპექტაკლს კვლავ დაუბრუნდებით და გამოთქმულ შენიშვნების საფუძველზე გაუმართავთ. მაშინ მას უფრო დიდი ჭეშრადობა ექნება და ჩვენი თეატრის მუდმივ რეპერტუარშიაც შევა.

რაც შეეხება ჩემს ქებას, იმდენი ითქვა, რომ მე ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. რაც მეტია ქება, მით უფრო იზრდება პასუხისმგებლობაც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა: დ. ალექსიძემ, დ. ანათაძემ, მწერალმა ლ. ავალიანმა, მსახიობმა კ. საკანდელიძემ და სხვებმა, რომლებმაც გაიზიარეს მომხსენებლისა და გამოსული ამხანაგების აზრები სპექტაკლის შესახებ, საერთოდ დადებითად შეფასებისა და აგრეთვე გამოთქმული შენიშვნებიც.

დასასრულ გამოვიდა პიესის ავტორი ს. კლიაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და მოკამათებებს გულწრფელი და საქმიანი შენიშვნებისათვის.



ჟან დარკანტი დაესწრო კ. მარჯანიშვილის  
 "შვილის სახელობის თეატრის სპექტაკლს:  
 „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. სპექტაკ-  
 ლით მოხიბლულმა სტუმარმა შთაბეჭდილების  
 წიგნში ჩასწერა: „იმ შესანიშნავი საღამოს  
 სახსოვრად, რომელაც გავატარე თეატრში,  
 სადაც არ მესმოდა არც ერთი სიტყვა, მაგ-  
 რამ აღუერთოვანებული ვიყავი პიესითა და  
 მსახიობებით“.

**შრანგი თეატრალური მოღვაწე,  
 რეჟისორი და მსახიობი ჟან  
 დარკანტი თბილისში**

სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან შექმნილია საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრი, რომლის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდა საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის გენერალური მდივანი, გამოჩენილი ფრანგი თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი ჟან დარკანტი.

რათა გაცნობოდა საქართველოს თეატრალურ ხელოვნებას, ჟან დარკანტი 4 დღით (6-10 აპრილი) ესტუმრა საქ. თეატრალურ საზოგადოებას. საზოგადოების თავმჯდომარის მიხედვით მრეგლიშვილის თანხლებით ჟან დარკანტმა დაათვალიერა ქალაქის შესანიშნაობანი. გაემგზავრა საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას, იხილა შესანიშნავი ჯვარის მონასტერი. შემდეგ სტუმარი იყო შეხვედრაზე საქ. ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებთან ხელოვნების მუშაკთა სახლის სალონში. შეხვედრას ესწრებოდნენ: სსრკ სახ. არტისტები: ვ. ანჯაფარიძე, ა. ხოროვა, ვ. გომიანიშვილი; რესპ. სახ. არტისტები: ა. თოძიძე, მ. ჯაფარიძე, ცნობილი კინო-მსახიობი დ. შიტინაძე, თეატრალური საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები. შეხვედრაზე წამოიჭრა ბევრი საინტერესო შემოქმედებითი საკითხი. სტუმარმა ძირითადად ილაპარაკა საერთაშორისო თეატრალური ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, მის მიღწევებზე და პერსპექტივებზე. შეხვედრის დასასრულს ჟან დარკანტის თხოვნით ვ. ანჯაფარიძემ წაიკითხა „საიათნოვა“, ხოლო ვ. გომიანიშვილმა — „თათრის ქალი“ და „რად მიყვარხარ?“ შეხვედრა გულთბილ ვითარებაში ჩატარდა.

მანვე პირად საუბარში განაცხადა:  
 „ჩვენი დიდი სურვილია. საბჭოთა პიესები ფრანგულ სცენაზეც იდგმებოდეს. სსრ კავშირში მოგზაურობისას საშუალება მქონდა მენახა თოთხმეტი პიესა. მათ შორის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ფრანგ მაყურებელთან: იუმორი, ჰუმანიზმი და ადამიანთა დამოკიდებულების ის ფორმა, რომლებიც პიესაში შესანიშნავად არის ჩაქსოვილი. მაზლობელი და ვასაგები იქნება ფრანგი ხალხისათვისაც. სტუმარმა პიესას ადამიანების ურთიერთ ნიყვარულის დიადი ძალის გამოიმხატველი ნაწარმოები უწოდა. მან პიესის ავტორთან საუბარში სურვილი გამოთქვა მიეღო პიესის თარგმანი საქრანგეთში დასადგმელად“.

სტუმარზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე რუს თაველის სახელთან თეატრის სპექტაკლმა „ბახტრიონმა“.

ჟან დარკანტმა ნახა ქართული თეატრები, დაესწრო რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა მეცადინეობას, დინტერესდა ახალგაზრდა თეატრალური კადრების აღზრდის სისტემით და ეწვია თვალსაჩინო ცნობილი თეატრალური მხატვრის ირ. გამრეკელის სახლ-მუზეუმს.

თბილისში ყოფნის დროს ჟან დარკანტთან ახლდა საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრის პასუხისმგებელი მდივანი ა. ვ. დენისოვი.

თბილისში

საქართველოს ეროვნული ზეიმის დღეებში თბილისის საგასტროლოლო ეწვია სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ელენე გოგოლევა. ჩვენს დედაქალაქში იგი პირველად სრულიად ახალგაზრდა, 35 წლის წინათ გამოდიოდა, და დღეს თუ ის თბილისის საზოგადოებამ კვლავ იხილა, ეს ნათელყოფაა იმისა, რომ გოგოლევა აგრძელებს რუსული და ქართული თეატრის ურთიერთ მეგობრობის, თანამშრომლობის იმ შესანიშნავ ტრადიციებს, რომლებიც მრავალი ათეული წლის წინათ დაიწყო.

ელენე გოგოლევა გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლში (3, 4, 5, 7 და 8 მაისს), —ალექსის პარნისის პიესაში „აფროდიტეს კუნძული“ — ლედი პატერსონის როლი შეასრულა. ე. გოგოლევის ლედი პატერსონის სახე ერთ-ერთ იმ შემოქმედებითი გამარჯვებათაგანია, რომელიც შევა თეატრალური კულტურის განვითარების ისტორიაში.

მსახიობმა, უპირველესყოვლისა, გვიჩვენა: საოცრად მოხდენილი, ჭარბი არისტოკრატიული თავდაპირილობა, გრაციოზული მოძრაობა, ხოლო, მეორეს მხრივ, წარმოგვიდგინა შინაგანად მალალი თეატრალობა, ბრწყინვალე არტისტიზმი, რომანტიკული შე-

მართება და ზეატანილი სცენიური სიმართლე. ასე ჩამოძვრწილი ლედი პატერსონის სახე, რომელიც ელენე გოგოლევამ წარმოსახა, დაუფიწყარია თბილისის საზოგადოებისათვის.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ელ. გოგოლევის მოუწყო შეხვედრა თეატრალური მხატვრის ირ. გამრეკელის სახლ-მუზეუმში;

შეხვედრაზე იყვნენ: საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. მრეველიშვილი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, რესპ. სახ. არტისტი: თამარ ჭავჭავაძე, მ. მოჭორიანი, ნ. ბურმისტროვა, რესპ. დამს. არტისტი გ. გეგეჭკორი და სხვები.

ამ შეხვედრიდან დიდი შთაბეჭდილებანი თან გაიყოლა მეორე დღეს უკვე მოსკოვის მიმავალმა ელ. გოგოლევამ. სწორედ ამ ძლიერ შთაბეჭდილებებზე მეტყველებს ის დებეშა: რომელიც მიღებულია ირ. გამრეკელის სახლ-მუზეუმში.

„გულითად მადლობას გიხდით ძვირკვას მეგობრებს, მსიამოვნებს მოგონებები იმ ზღაპრულ საღამოზე, რომელიც ჩატარდა თეატრალური ხელოვნების ტაძარში“.

## პეტრე მირიანაშვილის შემოქმედებითი სალამო

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში შედგა (ა.წ. 24 აპრილს) გამოჩენილ პედაგოგის, მწერლის, მთარგმნელის და საზოგადო მოღვაწის — პეტრე მირიანაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ხელოვ. დამსახ. მოღვაწემ მიხეილ მრეველიშვილმა. მოხსენება პეტრე მირიანაშვილის მოღვაწეობაზე წაიკითხა მისმა ყოფილმა მოწაფემ ალ. ბარნოემა. მოგონებებით გამოვიდნენ აგრეთვე ყოფილი მოწაფეები, ამჟამად კულტურის მოღვაწეები: პროფ. აკაკი ფალავა, აკადემიკოსი ნ. კეცხელიძე, კომპოზიტორი ლეო თალიაშვილი; მწერალი სიმონ მთვარაძე და სხვები.

პეტრე მირიანაშვილი, როგორც პიროვნება მოქალაქე და მოღვაწე, უპირველეს ყოვლისა ნიჭიარის შესანიშნავი, რომლის იყო ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეპოქის უმცროსი თაობის წარმომადგენელი.

პეტრე მირიანაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1860 წლის 21 თებერვალს (ძვ. სტილით). მისი ცხოვრების უმთავრესი თარიღებია: 1878 წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1882 წელს გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა იაქოვ უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ იგი მკაცრმა რეჟიმმა აიძულა სამშობლოში დაბრუნებულიყო კურსის დაუმთავრებლად. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა 1884 წელს მიემგზავრება პარიზს და ეწყობა სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სამწუხაროდ, ხელმოკლეობის გამო მან ვერც აქ შეძლო სწავლის დასრულება. 1886 წელს ის თბილისში ბრუნდება. შემდეგ იგი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებლად განაწესეს, მაგრამ ვერც აქ დაამკვიდრდა. ხან ჭიათურაში მუშაობდა, ხან განჯაში, ხარკოვეშიც კი! ხარკოვიდან ისევ ქუთაისს

ბრუნდება, ხოლო 1900 წლიდან საბოლოოდ თბილისში სახლდება. აქ იწყება მისი ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობა. იგი ეწყობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აპარატის მდივნად, შემდეგ გადადის ლარიმ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებაში, განაგრძობს წერა-კითხვის საზოგადოების მდივნობას. 1902 წლიდან გადადის თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. აქ ის მუშაობდა 1933 წლამდე, შემდეგ კი პენსიაზე გადავიდა.

პ. მირიანაშვილი ითვლებოდა ქართული ენის კარგ მცოდნედ. როგორც მასწავლებელი, იგი იყო ენოლზისტი თავისი საგნისა და ძნელია მეორე ისეთი მასწავლებლის დასახელება, რომლის მოწაფეებიც ისე სრულყოფილად ფლობდნენ მშობლიურ ენას, როგორც პ. მირიანაშვილისა. მან აღზარდა არაერთი და ორი თაობა. მის ყოფილ მოწაფეებს ვხვდებით: მწერლობაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და სხვაგან. პ. მირიანაშვილი თავის მოწაფეებისაგან მოითხოვდა არა მხოლოდ იმას, რასაც თვითონ ასწავლიდა, არამედ სკოლის გარეშე კითხვასაც და თვითონვე უსახელებლად მათ სასარგებლო წიგნებს, უძრავად ინტერესს ზოგადი განათლების ასამაღლებლად.

გარდა პედაგოგობისა, პ. მირიანაშვილი გვევლინება აგრეთვე, როგორც ნიციტორი და მოთავე რიგი მნიშვნელოვანი პატრიოტულ საქმიენისა. ასე, მაგალითად, დღეს ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი აღმოაჩინა პეტრე მირიანაშვილმა, ხოლო შემდეგ ეს წმინდა ნეშტი სამშობლოს დაუბრუნა.

როგორც მწერალი, პეტრე მირიანაშვილი პირველად გამოჩნდა 1886 წ. მან გაბ. „დროება“ № 223-ში დაბეჭდა საქმიანი წე-



როლი: „ჩვენი ქართველი კათოლიკობა“. შემდეგ იგი სისტემატურად აქვეყნებს პატრიოტული გრძნობებით გაყვნილ წერილებს თბილისისა და ქუთაისის პერიოდიკაში.

პეტრე მირიანაშვილი წერილებს პეტრე-ბურგიდან და პარიზიდანაც გზავნიდა და ჩვენი მი. ბეჭდებოდა. ასეთთა მისი: „ვიქტორი ჰომოჟი“, „არიელ ენათა ჯგუფი და ქართული ენა“, „ცხოვრების გამოცხადი“, „როგორ ვეწვიეთ მწერლობას“, „უცხო სიმღერის ვაგრეკლების გამო“ და სხვა მრავალი. ის ძიუღებუი ზნეობდა რიგი წერილებისა (უმთავრესად საპოლემიკო და პატრიოტული ხასიათისა) ფსევდონიმებით ემეპყნებინა. „კლიდა“, „მოგზაური“, „ნაცნობი“ და სხვა ხელისმომწერით იგი ბეჭდავს წერილებს ჟურნალ-გაზეთებში: „დროებას“ და „ივერიაში“, „მწყემსსა“ და „შრომაში“, „ტრიბუნასა“ და „ფასუხჯში“, „ლომისსა“, ქუთაისის „შრომაში“, და მისივე ინიციატივით დაარსებულ გაზეთ „ახალ ამბებში“ (ამ გაზეთმა გამოსვლა დაიწყო 1888 წელს). ავტორი აშუქებს საკითხებს: ქართული ენის აღდგენისა და სიწმინდისა, ძველი მწერლობის სანიმუშო თხზულებების გამოცემისა, ქართული პრესის გაძლიერებისა, ქართული თეატრის წინ სვლისა, ახალგაზრდობის აღზრდისა და სხვ. პეტრე მირიანაშვილს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ქართული ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება. საყურადღებოა მისი ნარკვევი: „რას ნიშნავს ქართველი, ივერი და სომეხი“.

პეტრე მირიანაშვილი თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელიც იყო. მან იცოდა როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ენები. იგი, გარდა რუსულისა, ფლობდა აგრეთვე ფრანგულს, არაბულს, და სომხურ ენებს. მან რამდენიმე კარგი თარგმანი გვიტოლნა. მაგ., ბერძნულიდან თარგმნილი ჰომეროსის „აქილიანი“, ესქილეს ტრაგედია „მიჯაჭველი პრომეთე“ და ევრიპიდეს „მედია“. ფრანგულიდან თარგმნა რენანის თხზულება „ერისთავის“, გერმანულიდან — გოეტეს „ფასტი“, ინდურიდან — სიყვარულის ჰიმნი“, ებრაულიდან „ქებათა ქება“ და სხვა. პ. მირიანაშვილს გამოუქვეყნებელი თარგმანებიც დარჩა. მაგ., ჰომეროსის „ილიადა და ოდისეა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ვიოტილიუსის „ენეადა“ და ფერელონის „ტელე-ჰიკანი“. ისინიც უნდა შევის-

წავლოთ და გამოვაქვეყნოთ. დიდი წილისა აქვს პეტრე მირიანაშვილს ვაჭრული „შედაბებით ლექსიკონზე“, რომელშიც 1750 ქართული სიტყვა რუსული, ინგლისური და სხვა ენების შესატყვისებითაა წარმოდგენილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პ. მირიანაშვილის მიერ შესრულებული „ყურანის“ ქართული თარგმანი. იგი მაშინვე ცალკე წიგნად გამოიცა.

პეტრე მირიანაშვილის ღვაწლის გვირგვინად უნდა ჩითვალოს ჩვენი ეროვნული სიამაყე ზ. ფალიაშვილის კლასიკური ოპერა „აბესალომ და ეთერი“. არა მარტო ლიბრეტო, არამედ მისი შექმნის იდეაც მასვე ეკუთვნის. რომ არა პ. მირიანაშვილი, შეიძლება ოპერა „აბესალომ და ეთერი“ არც კი გვეცნებოდა.

პეტრე მირიანაშვილი იყო დაუცხრომელი ენთუზიასტი ამ ოპერის დაწერისა. მას შემდეგ, რაც მან ლიბრეტო შექმნა, მოსვენება აღარ მისცა ზ. ფალიაშვილს, სახლში თუ საზოგადოებაში ეუბნებოდა: ოპერა დაწერე და დაწერეო.

პ. მირიანაშვილს არაერთხელ უთქვამს: „როგორც დედაბერი დასვამს კრუხს და არ მოეშვემა, სანამ წიწილებს არ გამოაჩეკინებს, ისე ამ ჩემ მიერ შედგენილ ლიბრეტოზე დასვვი ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, არ მოვეშვი, თავი მოვაბეზრე, არც მან დაიშურა თავისი შესაძლებლობა და რასაც ხედავთ, ეს გამოვიდაო“.

უდაოა, რომ პირველი ქართული ოპერის დასაწერად. დიდმა მოღვაწემ პეტრე მირიანაშვილმა აამეტყველა და ამომძრავა ზაქარია ფალიაშვილის გენია.

პეტრე მირიანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ოპერა „დემონის“ ლიბრეტოს თარგმნაზეც. მანვე შექმნა ორიგინალური, ჯერ ჯერობით გამოუქვეყნებული ლიბრეტოები: „ელენორა“ (ალ. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით), „ჰანის ქალი ზაია“ (ესტორიული დრამა), „ამირანი“ (ოპერა ხალხური თქმულებაზე), „მარგალიტის მადიბელენის“ ლიბრეტოს თარგმანი და სხვა.

პეტრე მირიანაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძესთან ერთად, ითვლება ქართული ფილარმონიული საზოგადოების დამაარსებლად და



ლადო აღნიაშვილის მონღერალთა გუნდის მასწავლებლად.

პეტრე მირიანაშვილი ითვლება აგრეთვე ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ

გამოჩენილ შემგროვებლად და პოპულარიზატორად.

იგი ფრიალ ლეწლმოსილი მოხუცებულთა გარდაიცვალა 1940 წლის 15 აგვისტოს თბილისში. მას იგონებს მადლიერი ერი.

### არამ როშოიანი

ტენიკური მუშაკის როლი თეატრში რთული და მრავალფეროვანია. მყურებლისათვის ეს უჩინარი მომუშავეები, ჩამცმელები, რეკვიზიტორები, თავისი საქმისადმი გულწრფელი დამოკიდებულებით აპირობებენ სპექტაკლის ჭეშმარიტ წარმატებას.

კულისებს მიღმა მომუშავეთა ასეთ რიცხვს ეკუთვნის ბუტაფორ-რეკვიზიტორი არამ ვართანის ძე როშოიანი, რომელიც 40 წელზე მეტია, რაც თავდადებით ემსახურება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებით წინსვლას.

ა. როშოიანი უშუალო მოწემაქართველი ხალხის ამ სასიქადლო თეატრში განხორციელებულ ბრწყინვალე დადგმებისა. დიდ რეჟისორებთან, მხატვრებთან და მსახიობებთან ხანგრძლივმა მუშაობამ გაზარდა იგი ინტელექტუალურად, ამიტომ შეუძლია მას სწორად იმსჯელოს არა მარტო თავის სპეციალობის ირგვლივ, არამედ მართებულად შეფასოს კიდევაც მთლიანად სპექტაკლი.

1941 წელს, როდესაც მეორე სამამულო ომი დაიწყო, თეატრის ახალგაზრდობის დიდი

უნეტესობა ომში გაიწვიეს. რუსთაველელთა კოლექტივში დარჩა რამდენიმე ხანდაზმული მუშაკი და მათ შორის არამიც. იგი თავგამოდებით იბრძოდა წარმოდგენების შეუფერხებლობისათვის, კაბუკური ენერგიით ცვლიდა მის საამქროდან სამშობლოს დასაცავად წასულ კაბუკებს. ეს ენერჯია მან დღემდე შეინარჩუნა და მიუხედავად მისი 70 წლის ასაკისა, იგი საიწუღო საყრდენია თეატრის სადადგმო ნაწილის ყოველი საამქროს ახალგაზრდისათვის.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და რუსთაველის სახელ. თეატრმა არამ როშოიანის საღამო გაუმართა 1961 წლის 18 აპრილს. იგი გახსნა რესპ. დამსახურებულმა არტისტმა თამარ ბაქრაძემ. მოხსენება გააკეთა რუსთაველის სახელობის თეატრის სადადგმო ნაწილის უფროსმა ნიკოლოზ კრავეიშვილმა, ხელოვნ. დამს. მოღვაწემ, პროფ. აკაკი ფაღალავამ და რესპ. სახალხო არტისტმა, ხელ. დამსახ. მოღვაწემ დ. ანთაძემ გულთბილად დაახასიათეს არამ როშოიანი, როგორც მუშაკი და მეგობარი. რუსთაველის სახ. თეატრის კოლექტივის სახელით მას მიესალმა მსახიობი თ. ქვირიანი, ხოლო საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით — დ. ჩხეიძე.

ა. როშოიანი მამადლობა გადაუხადა და მსწრე საზოგადოებას.



დასასრულ გაიმართა კონკრეტი რუსთა-ველის, ოპერის თეატრის მსახიობთა, კონსერვატორიის და მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

## შალვა ინასარი

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრომ აწ. 24 აპრილს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართეს საღამო მიძღვნილი შ. ინასარის შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი. საღამო გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ. მოხსენებით „შ. ინასარის ცხოვრება და შემოქმედება“ გამოვიდა დრამატურგი ამირან შერვაშიძე.

შალვა ტრიფონის-ძე ინასარი (ინასარიძე) დაიბადა 1900 წლის 29 სექტემბერს ქ. თელავში. დაწყებითი სწავლა ოჯახში მიიღო, საშუალო—ბათუმის გიმნაზიაში (დამთავრა 1919 წელს). სცენაზე მუშაობა დაიწყო 1918 წელს ბათუმის ცენტრალურ კლუბთან არსებულ დრამაჯგუფში და იმუშავა 1925 წლამდე. ასრულებდა სახასიათო როლებს. 1925 წელს დაიწყო სწავლა ბათუმში არსებულ დრამატულ სტუდიაში. სტუდიის დახურვის შემდეგ იგი ჩარიცხეს მსახიობად ბათუმის თეატრში, სადაც იმუშავა ერთი სეზონი. შემდეგ მუშაობდა მსახიობადეგ სხვადასხვა თეატრში. 1930 წელს დაიწყო სწავლა მოსკოვის ა. ლუნა-ჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა 1934 წელს. შემდეგ ბრუნდება ბათუმში და ინიშნება რეჟისორად აჭარის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში, სადაც იგი რჩება 1936 წლამდე. 1937 წელს ამხ. ინასარი ინიშნება რეჟისორად ბათუმის თეატრში და აქვე განაგრძობს მუშაობას.

შ. ინასარს შესრულებული აქვს 20-ზე მეტი. სახასიათო როლი. მათ შორისაა სიტინიკოვი (ვ. დარასელის „კვიციანი“), პა-

პუნა (შ. დადიანის „გუშინდელი“), შ. ლავრენივის „ორღევა“), და სხვა.

შ. ინასარს დადგმული აქვს 60 სხვადასხვა ჟანრის პიესა. მათ შორის: „საუცხოვო შენდობი“ კირშონისა (პირველი რეჟისორული ნამუშევარი), „ალკაზარი“ გ. მდიენისა, „გვირთა თაობა“ ს. კლდიაშვილისა, „ფოლადური“ ს. შანშიაშვილის, „სადგურის უფროსი“ ი. მოსაშვილისა, „რკინის პერანგი“ გ. შატბერაშვილისა, „გუშინდელი“ შ. დადიანისა, „მეგობრობა“ ლორიასი, „გენერალი ბაგრატიონი“ ა. შერვაშიძისა, „შემოსავლიანი ადგლი“ ა. ოსტროვსკისა, „ცოცხალი ლეში“ ლ. ტოლსტოისა, „ორღევა“ ლავრენივისა, „ოლეკო დუნდიჩი“ რეჟიშვილისა და კაცის, „პ. გრეკოვი“ ვოიტეხოვისა და ლენჩის, „პირისპირი“ ძმ. ტურისა და შეინინის, „ოჯახი“ პოპოვისა, „ორი ბატონის მსახური“ კ. გოლდონისა, „სისხლიანი ქორწილი“ ფ. გარსია-ლორკასი, „ცელქი ქალები“ შერიდანის, „ოიდიპოს მეთე“ სოფოკლესი არჩხარტიშვილთან ერთად და სხვა.

რეჟისორი შალვა ინასარი მუშაობს დრამატურგთან შ. მან გადააკითხა პიესად (ქ. დოლონაძესთან ერთად) „ამის მკვლელი“ ალ. ვაზბეგისა, თარგმნა „ცელქი ქალები“ შერიდანისა, „სახიფათო გზა-ჯვარედინზე“ მ. მაკლიარევესისა და სხვ.

1948 წლიდან შ. ინასარი საბჭოთა კავშირის კპ წევრია. აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში. 1951 წ. არჩეულ იქნა ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

1943 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებულია: მედლით „მამიკურ შრომისათვის დიდი სამამულო ომში 1941-1945 წ.წ.“ 1946 წ. და საპატიო ნიშნის ორდენით 1950 წ. მიღებული აქვს საპატიო სიგელი.

შალვა ინასარის შემოქმედებითა საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. სიტყვები წარმოთქვეს: აჭარის მწერალთა კავშირის განყოფილების წარმომადგენლებმა, თეატრის კოლექტივის სახელით რესპ. სახალხო არტი-სტმა ნ. თეთრაძემ, საქართველოს თეატრალურ საზოგადოების წარმომადგენლებმა და პიონერებმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეოთხე მოწვევის  
მეხუთე კლენუმის მიმოხილვა

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში 1961 წლის 2 ივნისს შედგა საქ. თეატრალური საზოგადოების მეოთხე მოწვევის მეხუთე პლენუმი. სხდომას თავმჯდომარეობდა პრეზიდენტი წევრი ოთარ ევაძე. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ, თავმჯდომარემ პლენუმს გააცნო დღის წესრიგი: 1. „მუსიკა დრამატულ თეატრში“, მომხსენებელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — პროფ. პ. ხუჭუა; 2. „რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებითი ურთიერთობისათვის“, მომხსენებელი — რეჟისორი მიხ. გიფიშვილი.

დღის წესრიგის დამატებების შემდეგ სიტყვა მიეცა პ. ხუჭუას.

საკოველთაოდ ცნობილია ის დიდი და მნიშვნელოვანი როლი, — დაიწყო მომხსენებელმა, — რომელსაც თეატრი ასრულებს ხალხთა სულიერი ცხოვრებაში, მათი ეროვნული კულტურის ისტორიაში. ზოგადად დახასიათა რა მან ეს საკითხი, შემდეგ კონკრეტულად ილაპარაკა მუსიკის პრობლემაზე დრამატულ თეატრში.

იმ მხატვრულ ელემენტთა შორის, — განაკრძო მომხსენებელმა, — რომელთა გამოყენება დრამატულ თეატრში ხელს უწყობს პიესის მიერ გამოხატულ ეპოქის სულის, ფორმის და კონსტრუქციულ თავისებურებათა სრულყოფილ გამოვლინებას, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს განუთენილი მუსიკას.

ყოველდღიურ პრაქტიკაში ხშირად გვევლინება ხოლმე ტერმინები: „თეატრალური მუსიკა“, „მუსიკა დრამატულ თეატრში“, ანუ „მუსიკა დრამისათვის“.

უნდა ითქვას, რომ „თეატრალური მუსიკა“ და „მუსიკა დრამატულ თეატრში“ ერთის შეხედვით მონათესავე ცნებებია, მაგრამ პირველი თავისი შინაარსით განსხვავდება მეორესაგან. „თეატრალური მუსიკა“, ამ სიტყვის ფართო გაგებით, გვევლინება ისეთი ჟანრების სახით, როგორცაა: ოპერა, მუსიკალური დრამა, ოპერეტა და ბალეტი. ამ ჟანრებში


მუსიკას მინიჭებული აქვს უმნიშვნელოვანესი, წამყვანი როლი. რაც შეეხება „მუსიკას დრამატულ თეატრში“ (ანუ ე. წ. გამოყენებით მუსიკას), მას პირდაპირი და სავსებით გარკვეული დანიშნულება გააჩნია.

დრამატულ თეატრში მუსიკის ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სპექტაკლის რეჟისორს პიესის შინაარსის, ყველა მოქმედ პირთა და სცენული სიტუაციების მკაფიოდ, მკვეთრად და შთაბეჭდავად გადმოცემაში. ეს შეიძლება სრულყოფილად იქნეს განხორციელებული მაშინ, როდესაც მუსიკის ხასიათი, მისი სტილი და გამომსახველობითი ძალა პირდაპირ შეესიტყვება დრამატული პიესის იდეას, სტილს, ჟანრს, პიესაში ასახულ ეპოქას, მოქმედ პირთა ხასიათებს, მათ სოციალურ მდგომარეობას, ტემპერამენტს და ა. შ.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ძირითად ეტაპებზე, რომლებიც მუსიკის ამ თავისებურებას დარგმა, დრამატულ თეატრთან დაკავშირებით თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე განვლო.

რაც შეეხება მუსიკას დრამატულ თეატრისათვის საქართველოში, მას ხანგრძლივი ტრადიციები არ გააჩნია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართულ დრამატულ თეატრს, რომელიც სულს ლაფავდა სახსრების უქონლობისა და მმართველი წრეების მხრივ უყურადღებობის გამო, ოცნებაც კი არ შეეძლო საკუთარ სამუსიკო ნაწილზე, ორკესტრზე, მომღერლებსა და გუნდებზე. ყოველი ეს დღეს ჩვენს წამყვან დრამატულ თეატრებს გააჩნია. ეს როლი ნიშნავს იმას, რომ ძველ ქართულ თეატრში საზოგადოდ არ გაისმოდა მუსიკის ხმა. მაგრამ ეს იყო საკუთარი ძალეებით ატლერებული მუსიკა, უმთავრესად სიმღერა, რომელსაც თვით მსახიობები ასრულებდნენ.

მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც თბილისში 1922 წელს დაარსდა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი.





ტრი, რომელსაც სათავეში გამოჩენილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა. რუსთაველის სახელობის თეატრის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ამ თეატრის წიაღში აღიზარდნენ და შემოქმედებითად დაფაცავდნენ დღევანდელი ქართული საბჭოთა მუსიკის მესვეურნი, ნიჭიერი კომპოზიტორები: იონა ტუსკია (რომელიც რიგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ამ თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ, კომპოზიტორად და დირიჟორად), გრიგოლ კილაძე, ვანო გოკიელი, რევაზ გაბიჩვაძე, ანდრო ბალანჩივაძე და სხვა. შედარებით უფრო გვიან მათ რიცხვს მიემატა ნიჭიერი შემოქმედი ძალები: ალექსი მაჭავარიანის, არჩილ ჩინკაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლალიძის, სულხან ცინციანის და სხვათა სახით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რუსთაველის თეატრის სახელოვანი კოლექტივის განუხრებლად მისწრაფებამ ხალხურობისა და რეალიზმისაკენ ნაწილობრივ განსაზღვრა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი პროფესიული დასახელებული თვისებებით.

1928 წელს რუსთაველის სახელობის თეატრს ჩვენი რესპუბლიკის მეორე დრამატული თეატრი ამოუდგა გვერდით. მან არა მარტო დირიჟულად განაგრძო თავისი „კოლევის“ გზა, არამედ ბევრი რამ ახალი, საყურადღებო და მნიშვნელოვანი მემკვიდრე ქართულ თეატრალურ კულტურას მისი თავისებური სტილის, ეროვნული თვითმყოფადობის და ამასთანავე, დრამატურგიის სოციალისტური ფორმის ძიების პროცესში. მარჯანიშვილის თეატრის ბრწყინვალე სპექტაკლებში მალად დონეზე იდგა მუსიკა, რომელიც სპექტაკლების ორგანულ კომპონენტად გვევლინებოდა. მსგავსად რუსთაველის სახელობის თეატრისა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრშიც, უფროსი თაობის კომპოზიტორებს კოტე მელიენეთ-უხუცესს და თამარ ვახვახიშვილს გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორები: ა. ბალანჩივაძე, რომელმაც თავისი შემოქმედებით მოღვაწეობა კ. მარჯანიშვილთან შეიძღრა თანამშრომლობით დაიწყო, არჩილ კერესელიძე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ამ თეატრის მუსიკალურ ნაწილს განაგებდა, ოლო ბარამიშვილი და სხვები.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა დრამატულ თეატრში მუსიკის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ, მუსიკის ფართო გამოყენებაზე დრამატულ თეატრში და აგრეთვე

სათეატრო მუსიკის ამ დარგში არსებული მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, და კონკრეტულად იმ კომპოზიტორებზე, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ თეატრალური მუსიკის ამ დარგში.

იმ ნიმუშებისათვის, — სთქვა მომხსენებელმა — რომ მუსიკამ ნამდვილად „შეუწყოს“ ხელი სპექტაკლის რეალისტურად დადგმას, ვასანგელე ბრუსთაველის თეატრის სპექტაკლს — ფელეტჩერის „ესპანელ მღვდელს“. ამ სპექტაკლის ბრწყინვალე წარმატებაში უდაო დამსახურება მიუძღვის ჩვენს ნიჭიერ კომპოზიტორს სულხან ცინციანეს, რომელმაც თავის მუსიკაში სწორად აუღო ალღო ესპანურ კოლორიტს და პიესის შესავლიდან დაწყებული სპექტაკლის დასასრულამდე თავისი ელფეროვანი, ტემპერამენტული მუსიკით, სიცოცხლე და თავისებური ლაზათი მიანიჭა საერთოდ წარმატებით დადგმულსა და შესრულებულ სპექტაკლს. ასევე უნდა აღინიშნოს ა. ბალანჩივაძის მუსიკა „არსენას ლექსი“, „კარწანისის ბრძოლა“; რ. გაბიჩვაძის „გიორგი სააკაძე“, „ლაღატი“, „ხვევის ბერი გოჩა“ და სხვა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ ქართველ კომპოზიტორის მიერ დაწერილი მუსიკა „ქრიტიანისათვის“ ფართოდ გახდა ცნობილი, არ შეიძლება არ აღინიშნოს მუხარამ მაყურებელთა ქართულ თეატრში დადგმული პიესა „რომიო და ჯულიეტას“ მუსიკალური გაფორმება ო. ბარამიშვილისა.

ქართულ პიესების დადგმებიდან, — განაგრძო მომხსენებელმა, — აგრეთვე უნდა მოვიგონოთ იონა ტუსკიას მახვილგონივრული, მეტად სახასიათო მუსიკა „შემოღვათის ახანურებისათვის“, რომელშიც ჩინებულადაა დატული ადგილობრივი, კერძოდ, იმერული კოლორიტი. აგრეთვე უნდა ვახსენოთ რევაზ ლალიძის მუსიკა ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“, სადაც, სხვა ქართულ სიმღერებთან ერთად, კომპოზიტორს ოსტატურად აქვს გამოყენებული მეგრული ხალხური სიმღერები, განსაკუთრებით კი ცნობილი „უტუ მიქავას სიმღერა“.

სპექტაკლის მუსიკის ავტორმა მხედველობაში უნდა იქონიოს არა მარტო მუსიკის ეროვნული ხასიათი საზოგადოდ, გადმოცემული თავისებური მელიოდისი. პარმონისა და რიტმის საშუალებით, არამედ მუსიკის ტემბრალური მხარეც. მაგალითად, ამა თუ იმ ყანრულ სცენას რეგულუტვიამდელი ქართული სოფლის ცხოვრებიდან ვერც ერთი



ორკესტრში მიღებული ინსტრუმენტი ვერ გადმოსცემს ისე, როგორც ფანდური, ჩონგური, სალამური ან დუდუკი, ზურნა და დოლი. რუსული ეროვნული კოლორიტის გასაძლიერებლად არც ერთი ინსტრუმენტი ისე არ გამოდგება სოფლური სცენების გადმოსაცემად, როგორც ბალალაიკა, სტვირი, ვოლინკა, გუსლი, გიტარა, ბაიანი და სხვ.

მუსიკას, მსგავსად სიტყვისა და მეტყველებისა, თავისი სემანტიკა ანუ ფარული შინაარსობრივი მხარე გააჩნია. სალამურის ტემბრის სემანტიკაა სოფლური იდილია, პასტორალური განწყობილება. ხილო თუ საყვირის ხმა ვაგივეთ, იგი იძლევა სამხედრო განწყობილებას, ვაჟაკურ სვლას, გამირობას. მაგრამ, როდესაც ზურნის ხმას გავიგებთ, იგი იძლევა ასოციაციას ჭიდაობის, ქორწილის, სოფლად გამართული ღრებობისა. აი, ამ ასეთი ტემბრის მუსიკას, მსგავსად სიტყვის, მეტყველებისა, თავისი სემანტიკა ანუ ფარული შინაარსობრივი მხარე გააჩნია. ამის მოხდენილი გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს ა. მაკავერიანის მუსიკა მოსაშვილბის პიესაზე „ჩაბირული ქვები“. ეს პიესა იწყება შესანიშნავი ნანათი, იმ ტკბილი ქართული ნანათი, რომელსაც ქართველი დედა უგალობდა თავის ბავშვს. „ჩაბირულ ქვებში“ ქართული ნანა გამოყენებულია სიმბოლური თვალსაზრისით. ამავე პიესაში უკანასკნელ სცენაში გამოყენებული სვანური ზარი, ზარი — ტრიბლი და გლოვა წყვეტს ნაწარმოების შინაარსს.

მომხსენებელმა შეაჩერა თავისი ყურადღება მაგნიტოფირზე ჩაწერილი მუსიკის გამოყენებაზე თეატრში. ზოგიერთ შემთხვევაში მაგნიტოფირზე ჩაწერილი მუსიკის გამოყენება კარგ ეფექტს იძლევა. მაგალითად, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გაფორმებულია მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მუსიკით. ჯ. კახიძეს მოხდენილად აქვს გამოყენებული გურული სიმღერები. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ იგი მთელი სპექტაკლის მანძილზე არ ვარჯა, — მე ვფიქრობ, მომბანებრებელია. ძალიან კარგია მაგნიტოჩანაწერები სერთოდ, მაგრამ მსმენელს ბეჭრდება მექანიკური ტემბრი. მაგნიტოჩანაწერი განმეორებითი შთაბეჭდილების მოსახდენად კარგია, მაგრამ მაინც ვერ შეედრება ცოცხალ ხმოვანებას.

აეილოთ მაგნიტოფონის ფირზე ჩანაწერების გამოყენების მაგალითი იმავე სპექტაკლში, რომელიც დაიდგა ბათუმის დრამატულ თეატრში. მუსიკის მონტაჟის ავტორს ნოლაიდელს გამოუყენებია გრ. კილაძის სუიტის ერთი ნომერი — „სახუმარო“ („ჩენი მეზობლის მამალი“), მაგრამ ამავე დროს, შიგა და შიგისნი გურული ხალხური სიმღერები. იქ ორიგინალურად გაისმის ხან ორკესტრის ჩანაწერები, ხან სიმღერები. ეს უფრო კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

